საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი №5

ქ. ლანჩხუთი 28.06.2021.

სხდომას ესწრებოდნენ: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, კომისიის წევრები: ციცინო ჩხაიძე, ზურაბ კუკულავა, დავით ჩხარტიშვილი, აკაკი იმნაიშვილი და იოსებ ჩხაიძე.

მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **როლანდ ლაშხია.**

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ა. მახათაძე/

2. სხვადასხვა

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე-6, წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიას გააცნო სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ. მან აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის N2685 განკარგულებაში საქართველოს მთავრობის 2021 წლის 31 მაისის N885 განკარგულებით შესული ცვლილებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს კერძოდ: ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციაზე 483150 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებით უნდა მიიმართოს 25429 ლარი, სულ პროექტის ღირებულებაა 508579 ლარი; ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა სასოფლო გზების მოწესრიგებაზე 2100000 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებით უნდა მიიმართოს 110527 ლარი, პროექტის ღირებულებაა 2210527 ლარი. აქედან: ნიგოითის ადმინისტრაციული ერთეულის დაფინანსება განისაზღვრა - 300105,34 ლარით, ჩიბათის ადმინისტრაციული ერთეულის - 264794,73 ლარით, ნინოშვილის ადმინისტრაციული ერთეულის - 149909,69 ლარით, მამათის ადმინისტრაციული ერთეულის - 228213,67 ლარით, ჩოჩხათის ადმინისტრაციული ერთეულის - 296840,08 ლარით, ნიგვზიანის ადმინისტრაციული ერთეულის - 300417,03 ლარით, სუფსის ადმინისტრაციული ერთეულის - 423056,83 ლარით, აცანის ადმინისტრაციული ერთეულის _ 245475,48 ლარით, აკეთის ადმინისტრაციული

ერთეულის - 252680,78 ლარით, შუხუთის ადმინისტრაციული ერთეულის - 308332,78 ლარით
და ჯურუყვეთის ადმინისტრაციული ერთეულის - 205863,19 ლარით. საქართველოს მთავრობის
2020 წლის 31 დეკემბრის N2685 განკარგულებით შევიდა ცვლილება და შემცირდა
მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაციის თანხა სულ 45416 ლარით,
ცენტრალური დაფინანსება 43144 ლარით და საკუთარი 2272 ლარით.

როლანდ ლაშხიამ აღნიშნა, რომ შემოსული წინადადებების განხილვის შედეგად
მიზანშეწონილად ჩაითვალა, რომ ჩატარდეს ინფრასტრუქტურული სამუშაოები, კერძოდ,
ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულში ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ
გმირების მემორიალის რეაბილიტაცია 8000 ლარი, სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში
წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია 20000 ლარი, ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ
ერთეულში საცალფეხო ხიდის რეაბილიტაცია 10000 ლარი, ლესის ადმინისტარციულ
ერთეულში წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია 10400 ლარი, ადმინისტარციული ღობის
მოწყობა 24000 ლარი, გვიმბალაურის ადმინისტარციულ ერთეულში სკვერის რეაბილიტაცია
5000 ლარი, შუხუთის ადმინისტარციულ ერთეულში წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია
12000 ლარი, სკვერის მოწყობა 10000 ლარი, ნიგოითის ადმინისტარციულ ერთეულში
მემორიალის რეაბილიტაცია 31000 ლარი, აცანის ადმინისტარციულ ერთეულში
ადმინისტრაციული ეზოს ღობის მოწყობა 50000 ლარი, მამათის ადმინისტარციულ ერთეულში
წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია 15000 ლარი, ქ. ლანჩხუთში გვარჯალაძის ქუჩაზე
მრავალბინიანი სახლების ეზოში მინი სტადიონის რეაბილიტაცია 20000 ლარი. ებრალიძის
ქუჩაზე მრავალბინიანი სახლის სადარბაზოს რეაბილიტაცია 5000 ლარი. ჟორდანის ქუჩაზე
სოციალური სამსახურის მიმდებარე გზის რეაბილიტაცია და თამარ მეფის ქუჩის ორმოვანი
შეკეთება 171000 ლარი. ქ. ლანჩხუთში ჩხაიძის ქუჩაზე მინი სტადიონის რეაბილიტაცია 28000
ლარი. მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მიმდებარე სკვერის რეაბილიტაცია 10000 ლარი.
მუნიციპალიტეტისათვის სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციოდ
გამოყოფილი თანხის ეკონომია 22000 ლარი მიიმართოს სოფელ აცანაში სტიქიის შედეგად
დაზიანებული მ. ჩხაიძის სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე.

ა(ა)იპ კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის დაფინანსება გაიზარდოს 120000 ლარით
ორგ.კოდი 03 01 ოფისის ხარჯი 18000 ლარით, ტრანსპორტის ხარჯი 70000 ლარით, სხვა
საქონელი და მომსახურების მუხლი 7000 ლარით, ორგ.კოდი 02 02 02 წყლის სისტემის
ექსპლოატაციის სხვა საქონელი და მომსახურების მუხლი გაიზარდოს 25000 ლარით.

ა(ა)იპ ჯანდაცვის ცენტრის სხვა საქონელი და მომსახურების 22000 ლარის შემცირების ხარჯზე
გაიზარდოს შრომის ანაზღაურების ფონდი 22000 ლარით.

ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის არაფინანსური აქტივების 12 ლარის შემცირების
ხარჯზე გაიზარდოს საქონელი და მომსახურების მუხლი 12 ლარით.

მუნიციპალიტეტის მერიის არაფინანსური აქტივების მუხლი გაიზარდოს 5000 ლარით,
ტრანსპორტის მუხლი გაიზარდოს 10000 ლარით.

რელიგიის დაფინანსება გაიზარდოს 5000 ლარით.

აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა
შემცირდეს 12000 ლარით და შემცირების ხარჯზე გაიზარდოს ერთჯერადი სოციალური
დახმარების პროგრამა 12000 ლარით.

ა(ა)იპ კულტურის ცენტრის არაფინანსური აქტივების შემცირების 5000 ლარით ხარჯზე
გაიზარდოს სხვა საქონელი და მომსახურების მუხლი 5000 ლარით.

ა(ა)იპ სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრის საქონელი და მომსახურების
55000 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს არაფინანსური აქტივების ხარჯი 55000 ლარით.

აღნიშნული ხარჯების დაფინანსება უზრუნველყოფილი იქნეს 160000 ლარი არაფინანსური აქტივების კლების ხარჯზე, 136000 ლარი მიიმართება ნაშთის ხარჯზე და ჯარიმების და საურავების ზრდის ხარჯზე.

დეპუტატმა **იოსებ ჩხაიძემ** გამოთქვა უკმაყოფილება და აღნიშნა, არასწორი მიდგომაა ის, რომ ზოგიერთი სოფლის ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად საკმაოდ სოლიდური თანხაა გამოყოფილი, როცა რამდენიმე სოფელი საერთოდ არ არის წარმოდგენილ ცხრილში შეტანილი, მიუხედავად იმისა, რომ ყველა სოფელშია გარკვეული პრობლემები ინფრასტრუქტურის კუთხით.

სხდომის თავმჯდომარემ **ალექსანდრე მახათაძემ** აღნიშნა, რომ მან ინფრასტრუქტურის სამსახურიდან გამოითხოვა 2014 წლიდან დღემდე რეგიონალური ფონდიდან დაფინანსებული პროექტების ნუსხა. მან ასევე აღნიშნა, რომ წარმოდგენილ საკითხში ა(ა)იპ კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის დაფინანსების გაზრდა განსაზღვრულია 120000 ლარით, რაც 5000 ლარით ნაკლებია აღნიშნული ა(ა)იპის მიერ შემოტანილ მოთხოვნაზე. აქედან გამომდინარე სამომავლოდ, რომ ისევ პრობლემა არ შეიქმნას მან მოითხოვა დაფინანსების გაზრდა ა(ა)იპის მოთხოვნის შესაბამისად, რასაც ერთობლივად მხარი დაუჭირეს დეპუტატებმა. როლანდ ლაშხიამ აღნიშნა, რომ ზემოხსენებული შენიშვნა გათვალისწინებული იქნება საკრებულოს სხდომაზე წარმოდგენილ დაზუსტებულ საკითხში.

დეპუტატმა **აკაკი იმნაიშვილმა** დასვა კითხვა იმის თაობაზე, თუ რა პრინციპებით მოხდა შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციისთვის სოფლების შერჩევა, როცა სოფელი შუხუთი დგას უამრავი პრობლემის წინაშე, გადათხრილია ქუჩები, გზები საჭიროებს რეაბილიტაციას. მან მოითხოვა თანხების პროპორციულად გადანაწილება. დეპუტატმა ასევე გამოთქვა უკმაყოფილება და აღნიშნა, რომ 8 წელია სოფელ შუხუთში არაფერი გაკეთებულა.

დეპუტატმა **იოსებ ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ ხოფერიას ქუჩის მიმდებარედ, ორაგვის ღელეზე არსებული ხიდი არის ავარიულ მდგომარეობაში და საჭიროებს სასწრაფოდ რეაბილიტაციას, რაზეც სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ გააკეთა განმარტება, რომ აღნიშნული ხიდის პროექტი შედგენილია და გადაგზავნილია ინფრასტრუქტურის სამინისტროში.

დეპუტატმა **იოსებ ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ წარმოდგენილ საკითხში აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა სასოფლო გზების დასაფინანსებლად გამოყოფილია 252680 ლარი, რაც მისი აზრით მხოლოდ სოფელ ჭანჭათისთვის არ არის საკმარისი. მან ასევე გამოთქვა უკმაყოფილება იმის თაობაზე, რომ 2018-2019 წლების ა(ა)იპ კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის ბიუჯეტში ერთ-ერთ მუხლში მითითებული იყო სასმელი წყლის სისტემის მოვლა-პატრონობა, რაც მისი თქმით არასწორია, ვინაიდან აღნიშნული ა(ა)იპ-ი ემსახურება ტექნიკური წყლის სისტემის მოვლა-პატრონობას.

დეპუტატმა **დავით ჩხარტიშვილმა** გამოთქვა უკმაყოფილება და აღნიშნა, რომ შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციისთვის თანხები სოფლებში უსამართლოდაა გადანაწილებული.

სხდომის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ** აღნიშნა, რომ ზოგიერთ სოფელში წარმოდგენილი თანხებით შიდა გზების მოწესრიგება ხდება და არის სოფლები, სადაც ცენტრალური გზებიც არ არის მოწესრიგებული.

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

კომისიის წევრების მიერ საკითხი მხარდაჭერილ იქნა საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის N2685 განკარგულებაში საქართველოს მთავრობის 2021 წლის 31 მაისის N885 განკარგულებით შესული ცვლილების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ აღნიშნული ცვლილებით კენჭი უყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს.

მომხრე-6, წინააღმდეგი-არცერთი.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N 21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის N2685 განკარგულებაში საქართველოს მთავრობის 2021 წლის 31 მაისის N885 განკარგულებით შესული ცვლილების გარეშე.

სხვადასხვა

- დეპუტატმა **აკაკი იმნაიშვილმა** გამოთქვა უკმაყოფილება და აღნიშნა, რომ ქალაქისა და სოფელ შუხუთის დამაკავშირებელ ხიდზე არსებული საფეხმავლო ბილიკი არის ძალიან ვიწრო და მოსახლეობა ითხოვს მის შეძლებისდაგვარად გაფართოვებას. მან ასევე აღნიშნა, რომ სავაჭრო ცენტრ „იმერეთის“ მიმდებარე ტერიტორიაზე ასფალტის საფარი არის ძალიან დაზიანებული და საჭიროებს რეაბილიტაციას, ასევე იქვე მდებარე მრავალსართულიანი ბინის ფასადზე დაზიანებულია თუნუქის ფირფიტები და ქარის დროს საშიშროებას უქმნის მოსახლეობას და მოითხოვა აღნიშნულ საკითხებზე რეაგირება მოახდინონ შესაბამისმა სამსახურებმა.

-დეპუტატმა **იოსებ ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ კვირკველიას ქუჩაზე, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე ასფალტის საფარი არის ძალიან დაზიანებული და საჭიროებს რეაბილიტაციას.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: **ალექსანდრე მახათაძე**

ქ. ლანჩხუთი 28.06.2021 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის დასკვნა №5

2021 წლის 28 ივნისს ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N 21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N 21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის N2685 განკარგულებაში საქართველოს მთავრობის 2021 წლის 31 მაისის N885 განკარგულებით შესული ცვლილების გარეშე.

საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე : ალექსანდრე მახათაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

28.06.2021 წელი
12:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ალექსანდრე მახათაძე	11 50	[signature]
2	ციცინო ჩხაიძე	11 55	[signature]
3	გიორგი ჩახვაძე	[illegible]	[signature]
4	დავით ჩხარტიშვილი	12 –	[signature]
5	ამირან გიგინეიშვილი	[illegible]	[signature]
6	იოსებ ჩხაიძე	11 50	[signature]
7	აკაკი იმნაიშვილი	12 00	[signature]
8	ზურაბ კუკულავა	11 50	[signature]